თასი 1936

ტფილისი _ ნოგინსკი

ტფილისის “დინამო”-მ უკანასკნელი დღეების განმავლობაში მოიპოვა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებები. ტფილისის ფეხბურთელებმა 16 აგვისტოს მოუგო ისეთ ძლიერ და გამოცდილ გუნდს, როგორიც არის მოსკოვის “სპარტაკი”, ანგარიშით 6:3, ხოლო 25 აგვისტოს ნოგინსკს, რომელმაც თავის მხრივ დაამარცხა ლენინგრადის დინამო (1:0), რომელიც საბჭოთა კავშირში ითვლება უძლიერეს გუნდათ.

25 აგვისტოს მოსკოვში “დინამო”-ს სტადიონზე შესდგა “საკავშირო თასის” გათამაშების შეხვედრა ნახევარ ფინალში ტფილისის “დინამო”-სა და საზ-ბა “წითელი დროშის” გუნდს (ნოგინსკი) შორის.

ტფილისელები თამაშობდნენ თავისი ძირითადი შემადგენლობით: დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ანიკინი, ბერძენიშვილი, ჯორბენაძე, პანინი, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ასლამაზოვი და სომოვი.

თამაშის დაწყებისთანავე ორივე გუნდები დინჯათ თამაშობენ, თითქოს სწავლობენ ერთმანეთს. მე-20 წუთზე ასლამაზოვი ხსნის ანგარიშს; მაყურებლები აპლოდისმენტებით ხვდებიან ტფილისელების გამარჯვებას.

ნოგინსკი აძლიერებს თამაშის ტემპს, მაგრამ სამი წუთის შემდეგ ღებულობენ მეორე ბურთს. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ნოგინსკი სარგებლობს დოროხოვის დაბნევით და აუმჯობესებს ანგარიშს 2:1.

მეორე ტიამში უპირატესობა ტფილისელების მხარეზეა. მე-15 წუთზე ასლამაზოვს გაქვს მესამე ბურთი, ხოლო შემდეგ ჯორბენაძეს და პანინს აჰყავთ ანგარიში ხუთამდე.

ნოგინსკის ცდა გაქვითონ ანგარიში უშედეგოთ მთავრდება. მცველები შავგულიძე და ჯორბენაძე კარგად იცავენ ტფილისის კარებს. ამრიგად თამაში დამთავრდა ანგარიშით 5:1 ტფილისის “დინამოს” სასარგებლოდ.

დღეს, ტფილისის “დინამო” ფინალში შეხვდება მოსკოვის “ლოკომოტივს”, რომელიც გადაწყვეტს პირველობის საკითხს.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 28 აგვისტო, 1936 წ.